


<p>გამომცემი სტრუქტ. ერთეული: Issued by org. units. შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი Labor Safety Department</p>			
<p>გამოცემის თარიღი: Date of Issue: 01.03.19.</p>	<p>ძალაში შესვლის თარიღი: Valid since: 04-03-19.</p>	<p>მოქმედების ვადა: უვადო Valid till: Unlimited</p>	
<p>შეცვლილი დოკუმენტი: Replaced Document:</p>			
<p>დოკუმენტის ტიპი: Type of Document: ინსტრუქცია Instruction</p>	<p>რეგისტრაციისა და დოკუმენტის ნომერი: Registration and file No.: INS 2019003</p>		
<p>სათაური: ავტოკოშკურის კალათიდან მომუშავე პირების უსაფრთხოდ მუშაობის ინსტრუქცია Title: Instruction for safe operation of persons working from auto derrick basket</p>			
<p>შემდგენელი: Elaborated by: ვასილ კობიაშვილი Vasil KobiaShvili</p>	<p>ანალიზის, რისკების შეფასების, ნორმატიული დოკუმენტების წარმოების განყოფილების უფროსი. Head of Analysis, risk assessment, normative documentation processing division</p>	<p>თარიღი: Date: 21.02.19</p>	<p>ხელმოწერა: Signature: 21.02.2019</p>
<p>თავდები: Guaranter: ვასილ კობიაშვილი Vasil Kobiashvili</p>	<p>ანალიზის, რისკების შეფასების, ნორმატიული დოკუმენტების წარმოების განყოფილების უფროსი Head of Analysis, risk assessment, normative documentation processing division</p>	<p>თარიღი: Date: 21.02.2019</p>	<p>ხელმოწერა: Signature:</p>
<p>ადმინისტრატორი: Administrator: მარინა ხვიბლიანი Marina Khvibliani</p>	<p>კანცელარიის უფროსი Head of Chancellery</p>	<p>თარიღი: Date: 28.02.19.</p>	<p>ხელმოწერა: Signature:</p>
<p>ზედამხედველი: Taskmaster: ალექსანდრე ნემსაძე Alexander Nemsadze</p>	<p>შრომის უსაფრთხოების მენეჯერი Labour Safety Manager</p>	<p>თარიღი: Date: 21.02.19</p>	<p>ხელმოწერა: Signature:</p>
<p>დამტკიცებულა: Approved by: მიხეილ ბოცვაძე Mikheil Botsvadze</p>	<p>გენერალური დირექტორი General Director</p>	<p>თარიღი: Date: 01.03.19</p>	<p>ხელმოწერა: Signature:</p>

1. შესავალი დებულებები:

1.1. მიზანი

წინამდებარე ინსტრუქციის მიზანს წარმოადგენს ავტოკომპიუტერის კალათიდან მომუშავე პირების მიერ უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა.

1.2. დოკუმენტებთან კავშირი

წინამდებარე ინსტრუქცია შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის #340 დადგენილებასთან (ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ), საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №434 დადგენილებასთან („ტექნიკური რეგლამენტი - ელექტროსადგურების და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების დამტკიცების შესახებ“).

1.3. მოქმედების სფეროს განსაზღვრა

ინსტრუქცია სავალდებულოა ყველა იმ თანამშრომლისთვის, რომლებიც მონაწილეობენ წინამდებარე ინსტრუქციით გათვალისწინებულ პროცესებში.

2. ძირითადი ტერმინების განმარტება

2.1. კომპანია – სს „ენერგო-პრო ჯორჯია“;

2.2. ელექტროტექნიკური პერსონალი – ადმინისტრაციულ-ტექნიკური, ოპერატიული, ოპერატიულ-სარემონტო, სარემონტო პერსონალი, რომელიც ორგანიზებას უწევს ან ახორციელებს ელექტროდანადგარების მონტაჟს, გაწყობას, ტექნიკურ მომსახურებას, რემონტს, მუშაობის რეჟიმის მართვას;

2.3. განწესი- დავალება სამუშაოს წარმოებაზე, გაფორმებული დადგენილი ფორმით სპეციალურ ბლანკზე, რომელშიც განსაზღვრულია სამუშაოს შინაარსი, ადგილი, დაწყებისა და დამთავრების დრო, უსაფრთხოდ ჩატარების პირობები და სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთა შემადგენლობა;

2.4. მაღლივი სამუშაოები - სამუშაოები, რომლებიც სრულდება 5 მეტრზე მეტ სიმაღლეზე მიწის, გადახურვის ან სამუშაო ნაფენის ზედაპირიდან უშულოდ კონსტრუქციებზე ან მოწყობილობებზე მათი მონტაჟის ან შეკეთების დროს, მომუშავის ვარდნისაგან ძირითადი დამცავი საშუალებების, დამცავი ქამრის გამოყენებით.

2.5. მიზნობრივი ინსტრუქტაჟი – მითითებები ელექტროდანადგარებში კონკრეტული სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულებაზე, რომელშიც მონაწილეობს განწესით ან განკარგულებით განსაზღვრული ყველა პირი.

2.6. სამუშაოს მწარმოებელი – სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი.

2.7. სეგზ – საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი;

2.8. ბრიგადა – ორი ან მეტი მომუშავისგან შემდგარი ჯგუფი.

2.9. მექანიზმი – ყველა სახის ამწეები და კომპიუტერები, ექსკავატორები, ტრაქტორები, ავტომტვირთელები, ამწესაბურღი მანქანები, გამოსაწევი კიბეები მექანიკური ამძრავით და სხვა საშუალებები, რომელიც გამოიყენება ამ ინსტრუქციით განსაზღვრული სამუშაოების განხორციელებისთვის.

2.10. ტვირთამწე მანქანები – ციკლური მოქმედების ტექნიკური მოწყობილობა ტვირთის ასაწევად და გადასადგილებლად. ყველა ტიპის ამწეები, ამწეექსკავატორები, ექსკავატორები ბაგირზე ჩაბმული კაკვით, ტვირთის ასატანი და ხალხის ასაყვანი ჯალამბარები.

3. ავტოკომპლექსის კალათიდან მომუშავე პირების უსაფრთხოდ მუშაობის ინსტრუქცია

3.1. უსაფრთხოების საერთო მოთხოვნები

3.1.1. ავტოკომპლექსის კალათიდან მუშაობის უფლება შეიძლება მიენიჭოს ელექტროტექნიკურ პერსონალს, რომელსაც გავლილი აქვს სწავლება, ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდები და აქვს ჩანაწერი საკვალიფიკაციო მოწმობის შესაბამის გრაფაში მაღლივი სამუშაოების წარმოების უფლებით;

3.1.2. ავტოკომპლექსის კალათიდან მომუშავე პირთა რაოდენობა განისაზღვრება კომპლექსის ტვირთამწეობით და კალათის იატაკის ფართობით (არანაკლებ 0,5 მ² კაცზე). კალათაში ორი და მეტი პირის დაშვების შემთხვევაში ერთ-ერთი ინიშნება უფროსად განწესის გამცემის მიერ;

3.1.3. ავტოკომპლექსის კალათიდან მომუშავე პირს სამუშაოს მწარმოებელმა მუშაობის დაწყების წინ უნდა ჩაუტაროს მიზნობრივი ინსტრუქტაჟი;

3.1.4. ავტოკომპლექსის კალათიდან მომუშავე პირი გაცნობილი უნდა იყოს სამუშაოების წარმოების პროექტს ან ტექნოლოგიურ რუქას (არსებობის შემთხვევაში);

3.1.5. კალათაში ჩაჯდომამდე პირი უნდა დარწმუნდეს, რომ:

3.1.5.1. ავტოკომპლექსი სწორადაა დაყენებული მოედანზე;

3.1.5.2. ავტოკომპლექსი დგას ყველა საყრდენზე;

3.1.5.3. ავტოკომპლექსის დახრა არ აღემატება საპასპორტო მონაცემებში მითითებულს;

3.1.6. ავტოკომპლექსით სეგხ-ს სიახლოვეს მუშაობისას ამწის კალათა მოძრაობისას არ უნდა ეხებოდეს საჭაერო ელექტროგადამცემ ხაზს და დაცული უნდა იყოს ძაბვის ქვეშ მყოფ დენგამტარ ნაწილებამდე დასაშვები მანძილები (დანართი 1);

3.1.7. ავტოკომპლექსის ქვაბულის სიახლოვეს დაყენებისას დაშორება მანქანის საყრდენებიდან ქვაბულის კიდემდე უნდა აკმაყოფილებს ქვაბულის კიდებიდან ავტოკომპლექსის უახლოეს საყრდენამდე დასაშვებ მანძილებს (დანართი 2);

3.1.8. ავტოკომპლექსით შენობა-ნაგებობების სიახლოვეს მუშაობისას მანძილი მბრუნავ პლატფორმასა და კედელს შორის უნდა იყოს არანაკლებ 1 მ.

3.2. უსაფრთხოების მოთხოვნები სამუშაოების დაწყების წინ

3.2.1. სამუშაოს დაწყებამდე ავტოკომპლექსის კალათაში მომუშავე პირმა საჭიროა მოირგოს შესაბამისი დაცვის საშუალება (ჩაჩქანი, დამცავი ქამარი, სათვალე) და ჩატვირთოს კალათაში საჭირო ინსტრუმენტები და ნივთები. დაუშვებელია ავტოკომპლექსის კალათაზე ასვლა ან ჩამოსვლა ინსტრუმენტებითა და ნივთებით ხელში;

3.2.2. ავტოკომპლექსის კალათაში ჩაჯდომის შემდეგ საჭიროა მასში შესასვლელის ჩაკეტვა და დამცავი ქამრის კარაბინით კალათის სამაგრ რგოლზე მიბმა, რის შემდეგაც ეცნობება მემანქანეს სამუშაო მზადყოფნის და აწევის შესახებ;

3.2.3. აკრძალულია ტვირთამწე მანქანებისა და მექანიზმების მუშაობისას ასაწევი ტვირთის ავტოკომპლექსის კალათის ქვეშ, აგრეთვე დასაჭიმი სადენების (გვარლების), საბრჯენების, სამაგრების და მომუშავე მექანიზმების უშუალო სიახლოვეს (5 მ-ზე ახლოს) ადამიანების ყოფნა;

3.2.4. ავტოკომპლექსის კალათიდან სამუშაოების წარმოებისას კალათაში მყოფი ბრიგადის წევრი და მემანქანე ერთმანეთს უნდა ხედავდნენ, თუ ასეთი კავშირი არ ხერხდება, მაშინ კომპლექსთან უნდა იმყოფებოდეს ბრიგადის წევრი, რომელიც მემანქანეს გადასცემს ბრძანებებს კალათის აწევის ან ჩამოშვების შესახებ.

3.3. ავტოკომპლექსის კალათიდან მომუშავე პირის მოვალეობები მუშაობის დროს

- 3.3.1. მუშაობის დროს ავტოკოშკურის კალათაში მყოფი პირი ვალდებულია:
- 3.3.1.1. ჩაჯდეს და გადმოვიდეს კალათის ბაქნის კარის მხრიდან მხოლოდ გაჩერებულ მდგომარეობაში მყოფი ავტოკოშკურიდან; ავტოკოშკურით მუშაობისას კალათაში შესასვლელი უნდა იყოს დაცული ჩასახსნელი შემოღობვით ან ჩამრაზი კარით;
 - 3.3.1.2. კალათის მოძრაობის დროს ყურადღება მიაქციოს ზედა და გვერდით დაბრკოლებებს, არ დაჯდეს ან არ დადგეს კალათის მოაჯირზე, არ გადაიხაროს მოაჯირს იქეთ;
 - 3.3.1.3. სამუშაო ზონის გაფართოების მიზნით არ დადგას კალათის იატაკზე რაიმე საგნები;
 - 3.3.1.4. ყურადღება მიაქციოს იმას, რომ კალათაში საერთო ტვირთის წონამ არ გადააჭარბოს ავტოკოშკურის ნომინალურ ტვირთამწეობას;
 - 3.3.1.5. შეწყვიტოს მუშაობა ავტოკოშკურის უსაფრთხოების ხელსაწყოების გაუმართაობის შემთხვევაში (ზღვრული ტვირთის შემზღვედი, ბოლო ამომრთველები, ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გადაადგილების კალათის ორიენტაციის სათვალთვალო სისტემა და სხვა);
 - 3.3.1.6. არ იმუშაოს ჭექა-ქუხილის დროს, აგრეთვე გამწვანებული ხილვადობის, წვიმის, ნისლის და თოვის დროს;
 - 3.3.1.7. არ იმუშაოს არასათანადო განათების დროს;
 - 3.3.1.8. იმუშაოს მხოლოდ განწესით სეგბ-ის სიახლოვეს მუშაობისას;
 - 3.3.1.9. სამალეზე ყოფნისას კალათიდან არ გადმოყაროს ინსტრუმენტები და სხვა ტვირთები;
 - 3.3.1.10. ავტოკოშკურა არ გადაადგილდეს კალათაში მჯდომ პირითან ერთად ერთი ადგილიდან მეორეზე, თუ ეს არაა გათვალისწინებული ქარხანა-დამაზადებლის საექსპლუატაციო ინსტრუქციით.
- 3.3.2. სამუშაოების დამთავრების შემდეგ კალათიდან მომუშავე პირი ვალდებულია:
- 3.3.2.1 კალათის დაშვებისას იყოს მაქსიმალურად ყურადღებიანი და დაიცვას უსაფრთხოების წესები;
 - 3.3.2.2 კალათის დაშვების შემდეგ – ჩაიხსნას დამცავი ქამარი და გადმოვიდეს კალათიდან.

დანართი 1

ძაბვის ქვეშ მყოფ დენგამტარ ნაწილებამდე დასაშვები მანძილები

ძაბვა, კვ		მანძილი ადამიანებიდან და მათ მიერ გამოყენებული იარაღებიდან, სამარჯვებიდან, დროებითი შემოღობვებიდან (მ)	მანძილი სამუშაო და სატრანსპორტო მდგომარეობაში მყოფი მექანიზმებიდან, ტვირთამწე მანქანებიდან, ჯალამბრებიდან, ტვირთსატაცი მოწყობილობიდან და ტვირთებიდან (მ)
1-კვმდე	სეგბ-ზე	0,6	1,0
	დანარჩენ ელექტრო დანადგარებში	არ ნორმირდება (შეხების გარეშე)	1,0
1-35		0,6	1,0
110		1,0	1,5

ქვაბულის კიდეებიდან ავტოკომპურის უახლოეს საყრდენამდე დასაშვები მანძილები

ქვაბულის სიღრმე (მ)	გრუნტი	
	სილიანი	თიხიანი
	მანძილი (ჰორიზონტალურ სიბრტყეში) ქვაბულის კიდედან მანქანის უახლოეს საყრდენამდე (მ)	
1	1.5	1.25
2	3	2.4
3	4	3.6
4	5	4.4
5	6	5.3

